ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31222702**
თარიღი: **27/09/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ჯუმბერ ბლაგიძის მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის

ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული - სუფსა

შეხვედრის ჩატარების თარიღი -22.09. 2022 წელი 13:00 საათი

შეხვედრას ესწრებონენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ მოადგილე გოჩა ჯანაშია, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი) ნიკოლოზ კოზანაშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ჯუმბერ ბლაგიძემ მიესალმა მოწვეულ სტუმრებს, მადლობას გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესახებ“ 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილების 131-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს ყველა წევრს ვალდებულება გააჩნია ყოველწლიურად გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის ჩაბარების.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგძემ ყურადღება გაამახვილა როგორც ჩატარებულ, ისე ჩასატარებელ სამუშაოებზე. მან აღნიშნა, რომ დეპუტატის მანდატი უფრო სპეციფიური ხასიათისაა, რომელიც გარდა იმისა, რომ საკრებულოში ძირითადი კანონმდებლობის მოწესრიგებას უზრუნველყოფს, ასევე ერთგვარად შუალედურ როლს ასრულებს მოსახლეობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს მოხდა სუფსაში იუსტიციის სახლისა და საბავშვო ბაღის მშენებლობა.ასევე ორჯუმალის უბანში გზის ასფალტირება.თუმცა სუფის ადმინისტრაციულ ერთეულში დღემდე გადაუჭრელ

პრობლემად რჩება წყლის პრობლემა.არის უბნები სადაც მრავალი წელია მოთხოვნაა მოწესრიგდეს გზის საფარი.

მოქალაქე კლარა კუტუბიძემ აღნიშნა, რომ სუფსაში კერძოდ უნაგირას უბანში ძლიერი წვიმის დროს იტბორება მურმან ჩავლეიშვილის საცხოვრებელი სახლი. 2014 წლის შემდეგ საჭიროა წყლის კოლექტორი რადგან სოფელში არ არის წყალი.ასევე უმძიმეს ავადმყოფს ბალახაშვილ ვლადიმერს არ აქვს სოციალური დახმარება,არის მარტოხელა და ესაჭიროება ძვირადღირებული ოპერაცია.

სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის ამბულატორიას სასურველია დაემატოს ორი ოთახი სტომატოლოგისა და სხვა სპეციალისტის უკეთესი სამუშაო პირობების შესაქმნელად.

მოქალაქე ნინო მანწკავამ აღნიშნა რომ სოფელ ტაბანათში ძლიერი წვიმის დროს იტბორება გზა, სასურველია გაკეთდეს წყლის გამტარი არხი.

მოქალაქე გიორგი ჟღენტმა აღნიშნა რომ სოფელ ტაბანათში შეჩერდა სანიაღვრე არხის გაკეთება.ასევე მან აღნიშნა რომ სუფსის ცენტრში გასანათებელია შინმოუსვლელთა ძეგლი.ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შეხვედრის შესახებ არ იყო ინფორმირებული მოსახლეობა.მან ასევე აღნიშნა რომ სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში ფლობს კომერციულ ფართს.ამ ფართის მიმდებარედ არის 25 კვ.მ^2 მიწის ნაკვეთი.

მან ამ ფართის აუქციონის წესით შესაძენად მიმართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას თუმცა აღმოჩნდა რომ აღნიშნული ფართი არის საქართველოს რკინიგზის საკუთრება.მოქალაქე გიორგი ჟღენტი ითხოვს ამ ფართის გადმოსაცემად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართოს საქართველოს რკინიგზას და მან როგორც უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირმა აუქციონის წესით შეიძინოს.

სოფელ ტაბანათში მცხოვრებმა **მოქალაქე ჟუჟუნა ხელაძემ** აღნიშნა რომ მოხსნილი აქვს სოციალური დახმარება, შვილი არის უმუშევარი და ესაჭიროება სახლის შესაკეთებლად დახმარება, რადგან არის ავარიულ მდგომარეობაში.

მოქალაქე ემზარ გოგუაძემ აღნიშნა რომ სოფელ ხიდმაღალაში მთავარი წყალმიმღები არხი არის გასასუფთავებელი .ასევე არის სასმელი წყლის პრობლემა.

სოფელ ტაბანათში მცხოვრებმა **ირაკლი ზოიძემ** აღნიშნა, რომ სოფელში იძირება ხიდი და ასევე საჭიროა დაიდგას სანაგვე ურნები.

სოფელ გრიგოლეთში მცხოვრებმა მოქალაქეებმა **გოჩა ვოინაროვმა, ანა ბიწაძემ, ბაჩო დარსალიამ** აღნიშნეს რომ ლანჩხუთი-თბილისი გზის მიმართულებით გრიგოლეთში აუცილებელია გაკეთდეს მოსაცდელი.

შეხვედრის ბოლოს საკრებულოს წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ მადლობა გადაუხადა შეკრებილ მოსახლეობას და აღნიშნა რომ მისი უფლებამოსილების ფარგლებში შეეცდება გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აწუხებს.

პატივისცემით,

ჯუმბერ ბლაგიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი